

აღსარების წინ საკითხავი ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგკწყალენ ჩუენ, ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩუენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვდრე ჩუენ შორის და წმიდა მეუენ ჩუენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩუენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგკწყალენ ჩუენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგკწყალენ ჩუენ; უფალო, გპკსენ და გკლხინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგკნდე უშჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგკწყალენ (3-ჯერ).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი არსობისა და მომეტე ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევენ თანამდებთა მათ ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

უფალო შეგკწყალენ (12-ჯერ).

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ მეუფესა ჩუენსა, ღმერთსა. მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვთ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.


ფსალმუნი 50-ე

მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აკოცე უშჯულოება ჩემი. უფრომს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმშობილე მე; რამეთუ უშჯულოება ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე, და ბოროტი შენ წინაშე ვყავ, რამათა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა, და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუღვა, და ცოდვათა შინა მშუა მე დედამან ჩემმან; რამეთუ ესერა ჭეშმარიტება შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ

მე; მასხურო მე უსუბოთა და განვწმიდნე მე, განმბანო მე და უფრომს თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობამ და სიხარული, და იხარებდენ ძუაღნი დამდაბლებულნი. გარე-
მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯუ-
ლოებანი ჩემნი აკოცენ. გული წმიდამ დაჰბადე ჩემ თანა,
ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ
განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა
ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა
შენისა და სულითა მთავრობისა და მამაბტკიცე მე. ვას-
წავლნე უშჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა
მოიქცენ. მიქსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოვრე-
ბისა ჩემისაო; იხარებდეს ენამ ჩემი სიმაართლესა შენსა.
უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს
ქებულებასა შენსა; რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხუერპლი
შე-მცა-მეწირა; არამედ საკურთხი არა გთნდეს. მსხუერპლ
ღმრთისა არს სული შემეუსრვილი, გული შემეუსრვილი და
დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხოს. კეთილი უყავ,
უფალო, ნებითა შენითა სიონსა, და აღმეწენ ზღუდენი იერუ-
სალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლ სიმაართლისა და, შესა-
წირავი და ყოვლად-დასაწუველი, მაშინ შეიწირნენ საკურ-
თხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

*ლოცვამ წმიდისა იოანე ოქროპირისა და
აღსარებისთჳს ცოდვათა და სინანულისა*

ვამ ჩემდა, რამეთუ ცოდვანი ჩემნი არიან უფრომს
ქჳმისა ზღუსა და მე შეკრულ-ვარ მათგან, ვითარცა საკრეულითა
რკინასამათა და არა მაქუს კანდიერება ახილვად სიმაღლესა



და
ცისასა, ვისამე მოვივლტოდე, არამედ შენდა მომართ მოწყალო
უფალო, რამეთუ ძჳრუქსენებელ ხარ და შენდა მომართ
მოვივლტი და მრავალთა მოწყალებათა შენთა შეუვრდები,
შენ უფალო ურჩ გექმნები და შენდავე მოვისწრაფი
ძჳრუქსენებლო, შენდავე მოვივლტი მრავალთა სახიერებათა
შენთათჳს და ღმობიერად ვლადადებ, გარე მიაქციე პირი
შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი
აკოცენ, სახელისა შენისათჳს მხოლოდსა, რამეთუ არა მაქუს
რომელიმცა წარგიდგინე შენ, არცა საქმენი კეთილნი, არცა
გული წმიდამ, არამედ სასოებამ ხოლო მაქუს შენისა
მოწყალებისა და დავსდებ სულსა ჩემსა, არამედ შენისა
კაცთმოყუარებისა წინაშე, რამათა გული წმიდა დაჰბადო
ჩემთანა ღმერთო და სულითა წმიდითა დამაბტკიცო მე,
რამათა არღარა დავეცე მე კუალად და არღარა მივიწიო
ცოდვისა განწირულებასა, არამედ ამიერითგან გმონო შენ
სიმაართლით და ჭეშმარიტებით ყოველთა დღეთა ცხოვრებისა
ჩემისამათა, რამეთუ შენი არს სუფევამ, ძალი და დიდებამ,
მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვამ წმიდისა ამონისი

უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩუენისაო, რომელმან
წინამსწარმეტყველისა შენისა, ნათანის მიერ, ამხილე დავითს,
და შეინანა შეცოდებანი მისნი, და შენ მიჰმადლე შენდობამ,
და სინანული მანასესი შემდგომად ლოცვისა შეიწირენ, შენ
მეუფეო მოწყალო გვედრები, შეიწირენ აწცა ჩემ უღირსისა
მონისა შენისაგან სინანულით ვედრებამ შეცოდებათათჳს,

შენისაებრ სახიერებისა, უგულუბელს-ჰყუენ ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, რამეთუ შენ, უფალმან ჰბრძანე სამოც-დაათ შუდ გზის შენდობაჲ, რომელნი შესცკვიან ცოდვასა, რამეთუ დიდ არს წყალობაჲ შენი, რამეთუ შენ ზარ ღმერთი მონანულთა და შენი არს ძალი და დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვაჲ წმიდისა ეფრემისი

ვსცოდე მე და არა განვეშორე ცოდვასა და მე ვვედრები მოწყალეებასა შენსა, დამოფარე მე, ჰე, კეთილო, მისაჯე მე და წმიდა მყავ მე, ჰე, ტკბილო, მილხინე მე, რამეთუ წყლულ ვარ, მაცხოვრე მე, რამეთუ მოგკუედ ცოდვითა, სუნნელ მყავ მე, რამეთუ წყლულებანი ჩემნი შეყროლდეს და სირცხულმან დამცა მე, აღმადგინე, რომელი ესე დანთქმული ვარ მღვმესა შინა და დაცემულ ვარ, აღმადგინე მე, მე ვარ, რომელმან შეესცვალე შჯული და ბიწან ვჰყავ, დაბნელებული განმანათლე, მომაქციე მე, ცთომილი ესე და მომიძიე წარწყმედული ესე. ვამე, უფალო შესუარულსა ამას, რომელი არა ღირს ვარ აღხილვად ზეცად.

ლოცვაჲ წმიდისა ისაკ განშორებულისაჲ

უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელი ევე მოწყალეებითა შენითა სტიროდი ლაზარეს ზედა და დასთხიენ მის ზედა ღმობიერებით წმიდანი იგი ცრემლნი შენნი. შეიწირენ ცრემლნიცა ესე სიმწარისა ჩემისაჲ და ვნებითა მით შენითა წმიდითა ვნებათაგან სულსა ჩემსა ულხინე და

წყლულელებითა შენითა წმიდითა წყლულეებათაგან სული ჩემი განჰკურნე და სუნნელებითა მით უხრწნელთა ჳორცთა შენთათა სიმყარალჳ ჳორცთა ჩემთა განასუნნელე და ნაღვლითა მით, რომელი დაბადებულთა შენთაგან მიილე, დაატკე სული ჩემი სიმწარისა მისგან, რომელ მოვილე მტერთა ჩემთაგან. აღმართებითა წმიდისა ჳუარისა შენისაჲ, აღმართე გონებაჲ ჩემი ეშმაკთაგან მიდრეკილი მიდრეკითა წმიდისა თავისა შენისაჲთა ჳუარსა ზედა, აღმართე თავი ჩემი მტერთაგან დათრგუნვილი ჳელითა მით წმიდითა, რომელი განიჰყრენ ჳუარსა ზედა, აღმომიყვანე მე სიღრმეთაგან ცოდვათა ჩემთასა. ყურიმლის-ცემითა მით და ნერწყვთა პირისა შენისა წმიდისაჲთა განწმიდე პირი ჩემი შებღალული ცოდვითა და უშჯულოებითა ჩემითა და სულითა მით წმიდითა შენითა, რომელი ჳუარსა ზედა შეჰვედრე მამასა, წარმიძელე მე მოსლვად შენდა მიმართ გზათაგან უშჯულოებისა ჩემისაჲთა, რამეთუ არა მაქუს, მაცხოვარ, გული მწუხარჳ მოძიებად შენდა, არა მაქუს სინანული და ღმობიერებაჲ, რომელი მოაქცევს განწირულთა სასოებად, არა მქონან, მეუფეო, ცრემლნი ნუგეშინის-საცემელად სულისა ჩემისა. დაბნელებულ-არს მეუფეო გონებაჲ ჩემი და ვერ მოიქცევის შიშსა შენსა, განგრილებულ არს გული ჩემი სიმკურვალისა სიყუარულისა წმიდისა შენისა და არა აქუს გულსა ჩემსა განჰჰანად ცრემლითა მით, რომელი სათნო არს შენდა: არამედ შენ, იესო ქრისტე, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რომელმან მომიყიდე სისხლითა შენითა წმიდითა. აწცა მომმადლე მე სინანული და გული ტკივნეული, რაჲთა გამოვიდე მე ყოვლითა გულითა ჩემითა ძიებად შენდა მწყემსისა მაგის სახიერისა და

მკურნალისა მაგის განწირულთასა, რამეთუ თუნეირ შენსა არა განიკურნებიან წყლულებანი ესე სულისა ჩემისანი და უცხო ვარ მე ყოვლისაგან კეთილისა, უკუეთუ არა მომხადლე მე მადლითა შენითა მამისა მის მიერ წმიდისა შენისა, რომელმან უწინარეს საუკუნეთა გშუა შენ თანამოსაყდრეთ მისსა. განაახლე სულისა შორის ჩემსა შეუნიერებად იგი ხატისა შენისა და სულისა მიერ წმიდისა შენისა განანათლე სული ჩემი დაბნელებული ცოდვითა. მეუფეო ჩემო, მომხადლე მე მადლი შენი, სახიერო და კაცთმოყუარეო, დაღაცათუ მე დაგიტევე შენ, არამედ შენ სახიერებითა შენითა ნუ დამიტეობ მე. დაღაცათუ მე წარვსწყმიდე ნებსით ჩემით თავი ჩემი, სამწყსოვსა შენისაგან, არამედ შენ მოწყალებითა შენითა გამოვედ ძიებად ჩემდა და შემიყუანე ბაკსა მას შენსა წმიდასა და თანა შემრაცხე მე ცხოვართა მათ თანა კურთხეულისა სამწყსოვსა შენისამთა და გამოშარდე მე მათ თანა საძოვართა მით საიდუმლოთა წმიდათა შენთამთა და ღირს ვიქმნე უღირსი ესე მონად შენი ზილვად ნათელსა პირისა შენისასა. რამეთუ შენი არს სუფევამ, ძალი და ღიღებად, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლოცვაჲ წმიდა ტიმოთესი

უფალო ღმერთო, დახმადებელო ყოველთაო, ლოცვაჲ ჩუენი ისმინე, ქრისტეს მოყუარისა ერისა შენისაჲ, თანამოსახელისათჳს, და მოიკსენე შენი წმიდაჲ კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ, რომელი მოივე სისხლითა შენითა, დაჰქსნენ წყლულებანი შინაგან მწვალებელთანი, და

მოეცა შენსა
ი
მ
და შენისა,
ე
მ
სოფელთლე
ს
შ
შეუბრტეობ
ს
ა
იდასა
თისა
ს
კელი
სასა.
ს
განსაკ
მ
ღამის
რომი
ბევრ
ხოლო

მოეც ერთობად მართლმადიდებელთა შენთა, და შეზღუდენ იგინი ზეგარდმოთა შეწვევითა, და ანგელოსთა წესთა განძლიერებულნი გალობად და ღიღებად ყოვლადწმიდისა და უხრწნელისა სახელისა შენისა; დაიცვენ სიმტკიცით ერი ჩუენი, და მტერთა მიმართ მძლეობად სამარადისომ მიანიჭე მას, გულისკმისყოფად და მშულობად შენი მიმადლე სოფელსა და მიანიჭე ქუეყანასა ნაყოფთა უხუებად, და ერსა საზრდელთა იეფობად, რამთა განვძლეთ გლახაკნი პურითა შენითა, და მარადის მადლობისა გალობასა შევსწირვდეთ შენდა, კაცთმოყუარისა ღმრთისა ჩუენისა, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ფსალმუნი 90-ე

რომელი დამკვდრებულ არს შეწვევითა მადლისამთა, საფარველსა ღმრთისა ზეტათამსა განისუენოს. ჰრქუას უფალსა: კელის ამპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას. რამეთუ მან გიქსნეს შენ საფრკისა მისგან მონადირეთაჲსა და სიტყუქსა მისგან განსაკრთომელისა. ბეჭთ-საშუვალითა მისითა ფფარვდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე. საჭურველად გარემოვადგეს შენ ჭეშმარიტებად მისი. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ ღლისი; ღუაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუვევისაგან და ეშმაკისა შუვადლისა; დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი-მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგავზღნენ. ხოლო შენ თუალითა შენითა ჰხედვიდე და მისავებელი

ცოდვილთაჲ იზილო. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებულად შენდა. არა შევიდეს შენდა ძური, და გუემად არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა; კელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქუასა ფერკი შენი; ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ მე მესვიდა და ვიკსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ჳმა-ყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მისთანა ვიყო ჳირსა შინა; ვიკსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელებითა განვაძლო იგი და უჩუენო მას მაცხოვრებაჲ ჩემი.

უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისაჲთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთაჲთა და ყოველთა წმიდაჲთა, შვეკწყალენ ჩუენ, ამინ.